სენსიტიურობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	10%-იანი გამყარება დოლარი	10%-იანი გაუფასურება დოლარი	10%-იანი გამყარება ევრო	10%-იანი გაუფასურება ევრო
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	400,796	327,924		
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	60,623	49,601	140,248	114,748
ფული და ფულის ეკვივალენტები	239,198	195,707	218,446	178,729
სულ ფინანსური აქტივები	700,617	573,232	358,694	293,477
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	1,730,045	1,415,491	-	-
საიჯარო ვალდებულებები	468,881	383,630	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,198,926	1,799,121	-	-

მგრძნობელობის ანალიზის შემზღვეველი გარემოებები

ზემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ძირითად დაშვებაში მომხდარი ცვლილების ეფექტი, როდესაც დანარჩენი დაშვებები უცვლელი რჩება. სინამდვილეში, დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის კორელაცია არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მგრძნობელობა არა წრფივია და ამ შედეგებიდან მიღებული უფრო დიდი ან უფრო მცირე გავლენის ინტერპოლაცია ან ექსტრაპოლაცია არ არის მიზანშეწონილი.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთან, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა იცვლებოდეს აქტიურ ბაზარზე არსებული დინამიკის შესაბამისად. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის მიზანია ბაზარზე არსებული მერყეობით გამოწვეული დაქვემდებარების მართვა. იქედან გამომდინარე, რომ საინვესტიციო ბაზრები მოძრაობენ სხვადასხვა ტრიგერის დონეზე, ხელმძღვანელობის ქმედებები შესაძლოა მოიცავდეს ყიდვა-გაყიდვის ინვესტიციებს, საინვესტიციო პორტფელის განაწილების ცვლილებას და სხვა დაცვითი ქმედების განხორციელებას. შესაბამისად, დაშვებებში ცვლილების ფაქტიურ გავლენას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ვალდებულებებზე, რადგან აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება საბაზრო ღირებულებით. ასეთ ვითარებაში ვალდებულებების და აქტივების შეფასების სხვადასხვა საფუძვლებმა შესაძლოა გამოიწვიოს აქციონერულ კაპიტალში ცვალებადობა.

ზემოაღნიშნული მგრძნობელობის ანალიზის სხვა შემზღვეველი მოიცავს ჰიპოთეტური ბაზრის მოძრაობის გამოყენებას იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც მხოლოდ კომპანიის მოსაზრებას წარმოადგენს შესაძლო უახლოესი საბაზრო ცვლილებების შესახებ და რომლის დაბეჭდვით პროგნოზირება შეუძლებელია; და დაშვებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა იდენტურია.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა ის ხელს უწყობს ამ რისკების მართვას კონტროლის მექანიზმების გამოყენებით და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე რეაგირების გზით. კონტროლები მოიცავს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და ურთიერთ შეჯერების პროცედურებს, ასევე თანამშრომლების გადამზადების და შეფასების პროცესებს.

23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოკლევადიანი ვადიანობის პროფილიდან გამომდინარე მათი საბალანსო და რეალური ღირებულება საანგარიშო თარიღსა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთმანეთს ემთხვევა.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება კომპანიის მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა სახის ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზის სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2021			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,341,092	-	-	1,341,092
გაცემული სესხები	-	-	8,936,950	8,936,950
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	222,742	-	-	222,742
სულ ფინანსური აქტივები	1,563,834	-	8,936,950	10,500,784
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	7,033,546	7,033,546
საიჯარო ვალდებულებები	-	-	460,828	460,828
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	7,494,375	7,494,375

	31 დეკემბერი 2020			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,225,055	-	-	1,225,055
გაცემული სესხები	-	-	7,291,010	7,291,010
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	282,948	-	-	282,948
სულ ფინანსური აქტივები	1,508,003	-	7,291,010	8,799,013
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	5,934,865	5,934,865
საიჯარო ვალდებულებები	-	-	536,130	536,130
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	6,470,995	6,470,995

ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და რეალური ღირებულებების შედარება კლასების მიხედვით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის სამართლიანი ღირებულებით, ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ცხრილი არ შეიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,341,092	1,341,092	1,225,055	3,907,239
გაცემული სესხები	8,936,950	8,936,950	7,291,010	25,164,910
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	222,742	222,742	282,948	728,432
სულ ფინანსური აქტივები	10,500,784	10,500,784	8,799,013	29,800,581
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	7,033,546	7,033,546	5,934,865	20,001,958
საიჯარო ვალდებულებები	460,828	460,828	536,130	1,457,787
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,494,375	7,494,375	6,470,995	21,459,744

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

- ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:
 - (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
 - (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
 - (III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
 - ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
 - (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
 - (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
 - (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მკავშირე საწარმოა;
 - (V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
 - (VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის აქციონერები წარმოდგენილია 1-ელ შენიშვნაში. მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2021 წლის განმავლობაში წარმოდგენილია ქვედა ცხრილში

	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	16,623	-
საპროცენტო ხარჯი	236,280	-
ხელფასის ხარჯი	109,508	82,766

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2020 წლის განმავლობაში წარმოდგენილია ქვედა ცხრილში

	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	6,982	-
საპროცენტო ხარჯი	147,748	-
ხელფასის ხარჯი	108,424	83,200

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის განმავლობაში წარმოდგენილია ქვედა ცხრილში

	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარეები
მიღებული სესხები	2,186,352	-
საიჯარო ვალდებულებები	179,856	-

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის განმავლობაში წარმოდგენილია ქვედა ცხრილში

	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარეები
მიღებული სესხები	1,634,682	-
საიჯარო ვალდებულებები	69,706	-
გაცემული სესხები	-	10,830

25. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს უზრუნველყოს აქციონერები ადექვატური ფინანსური სახსრების მიღებით და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანია შეესაბამება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიხედვითაც კომპანიის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა 500,000 ლარით, ხოლო 2019 წლის 30 ივნისამდე 1,000,000 ლარით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები კოეფიციენტებთან დაკავშირებით შემდეგია:

- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი
- დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ ასევე განსაზღვრულია ერთ მსესხებელზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობაც.

	31 დეკემბერი 2021	
კოეფიციენტი	დაწესებული ზღვარი	წარდგენილი კოეფიციენტი
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	მინიმუმ 24%	34%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მინიმუმ 25%	27%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 40%	6%
ინვესტიციების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 15%	0%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	მაქსიმუმ 15%	0%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 90%	84%

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ყველა მოთხოვნას.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე შეიცვალა კომპანიის საფირმო სახელწოდება „შპს მისო მონეტა ექსპრესი“ სახელწოდებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში გამოცხადებული და განაწილებული დივიდენდის ოდენობამ შეადგინა 80,292 ლარი.

RSM Georgia85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრეს ჯორჯიას მფლობელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.


ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2022 წლის 24 ივნისი


RSM Georgia
პ. ჩუბინიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრეს ჯორჯიას მფლობელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2022 წლის 24 ივნისი



შპს მისო „მონეტა ექსპრესი“
მმართველობის ანგარიში

2021

შინაარსი

კომპანიის განვითარების გეგმები	1
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა	6
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	5
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია	6
ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	6
ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიზნები და პოლიტიკა.....	7

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრესი საფინანსო ბაზარზე ყურადღებას იპყრობს, როგორც დინამიურად მზარდი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს სასიცოცხლოდ აუცილებელ, მრავალფეროვან, სწრაფ და მაღალხარისხიან ფინანსურ მომსახურებას.

თავის სამოქმედო არეალში (დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონი) მონეტა ექსპრესმა დამსახურებულად დაიმკვიდრა მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანიზაციის სახელი. ჩვენი ოფისები განლაგებულია ქუთაისსა და წყალტუბოში, მაგრამ კლიენტთა კონტიგენტი პრაქტიკულად მთელ იმერეთს მოიცავს, ასევე ბევრი მომხმარებელი გვყავს რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოსა და სვანეთის რეგიონებიდან.

ფინანსური მომსახურების ისეთმა სახეებმა, როგორცაა სწრაფი სალომბარდო სესხი, ფულადი გზავნილი, ვალუტის კონვერტაცია და კომუნალური გადასახადები უკვე ათეულ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში ორგანიზაციას შესძინა დამსახურებული ავტორიტეტი, რაც კიდევ უფრო დადასტურდა ბოლო დროს მომხმარებელთა აქტიურობის ზრდის ფონზე.



მომხმარებლებთან გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობის დამყარება არის წინაპირობა იმისა, რომ ორგანიზაციას გააჩნდეს უმაღლესი მოტივაცია კლიენტზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების საპოვნელად, ასევე იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მომხმარებელს, ნათლად ჩამოაყალიბოს საკუთარი კონკრეტული საჭიროებები, მიიღოს ეკონომიკური წარმატებისათვის აუცილებელი არსებითად მნიშვნელოვანი ცოდნა.

ორგანიზაციის მენეჯმენტი შედგება შედარებით მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფისაგან: სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს განვითარების გლობალურ ასპექტებს; უმაღლესი მენეჯმენტი, რომლებიც რეალურად მართავენ ოპერატიულ პროცესებს და სერვის-ცენტრის მენეჯერები – რომლებიც პასუხისმგებელი არიან კლიენტთა მომსახურების ეფექტიანობასა და ხარისხზე ძირეულ რგოლებში.

ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგია ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორცაა პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა, მისაწვდომობა და პარტნიორობა, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისადმი სწრაფვა და სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა.

გამოვავლინოთ რეალური პასუხისმგებლობის მაქსიმუმი ყველა სფეროში – წარმოადგენდა ორგანიზაციის ძირითად გამოწვევას მიმდინარე წელს. ეს უპირველესად ეხებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ახალი რეგულაციების შესაბამისად ჩვენი საქმიანობის გადაწყობას. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვამ განაპირობა კლიენტთა შორის ჭარბვალაიანობის შემცირება. ჩვენ ვიზიარებთ აგრეთვე სოციალურ პასუხისმგებლობას მომხმარებლების, თანამშრომლების, ჩვენთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების, აგრეთვე ბუნებრივი გარემოს წინაშე.

ბიზნეს პროდუქტების მიწოდების დროს ფარული ხარჯების არქონა, მათი ფასწარმოქმნის ფინანსური ბაზრის მდგომარეობის მიმართ ადეკვატურობა, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და გულწრფელობის ზოგადი პრინციპების პატივისცემა წარმოადგენს ჩვენს პრიორიტეტებს კლიენტებთან, პარტნიორებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს.

მონეტა ექსპრეს ჯორჯია უფროხილდება ყველა მომხმარებელს და ყველა ინვესტორს. შეთავაზებული პროდუქტები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია ფასის მიხედვით (ფასები არ აღემატება და ნაკლებია უშუალო კონკურენტების ფასებზე).

2018 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული ახალი რეგულაციების ამოქმედების პროცესი გრძელდება ახლაც და მისი განუხრელი დაკმაყოფილება კვლავ წარმოადგენდა ორგანიზაციის ძირითად გამოწვევას.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შემცირება მუდამ წარმოადგენდა მენეჯმენტის განუხრელი ყურადღების საგანს. გაგრძელდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილი რეკომენდაციების აღსრულება, რაც უმთავრესად AML ანგარიშგების წარდგენის და კლიენტის რისკის მონიტორინგის კუთხით დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორების კუთხით მოხდა. დასრულების პროცესშია პოლიტიკურად აქტიური პირების სქრინინგის კონტროლის ახალ პლატფორმაზე გადაყვანა. მენეჯმენტს და ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს გააზრებული აქვს უზარმაზარი პასუხისმგებლობა იმ კუთხით, რომ კლიენტის დაკვეთით შესრულებული ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია სარისკოა ბოროტმოქმედებისა და თაღლითობის გამოვლინებათა თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ახალ სიმაღლეზე ავიყვანეთ მოთხოვნები მომხმარებელთა იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის კუთხით. ეროვნული ბანკის მითითებათა კვალობაზე დავიწყეთ არამარტო ჩვენს ოფისებში შესრულებული ტრანზაქციების ფინანსური მონიტორინგი, არამედ ყველა შესაძლო საშუალებით კონტროლდება მოკორესპონდენტო მხარეც (ქვეყანა, მოქალაქეობა, პირდაპირი კავშირები), რაც საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შევამციროთ თაღლითობის რისკი ფულადი სახსრების გადარიცხვებში, ასევე, „იციანადე შენს კლიენტს“ და კლიენტის რისკზე დაფუძნებული პოლიტიკის ფარგლებში უფრო მძლავრი ბერკეტები შევიძინეთ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

მენეჯმენტი მიზნად ისახავს განახორციელოს სააღრიცხვო პროგრამა დი-ჯი ლოანის მოდიფიკაცია იმდაგვარად, საკრედიტო რისკები შეფასდეს თითოეული სესხის საკრედიტო

ისტორიის დონეზე წინა ისტორიული გამოცდილების წრფივ რეგრესიაზე დაყრდნობით დაპროგნოზების საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ორგანიზაცია კვალიფიცირდება სწრაფ და ეფექტურ ფინანსურ მომსახურებაზე. კლიენტზე ორიენტირებული ფინანსური პროდუქტების განვითარება და დანერგვა არის ჩვენი ორგანიზაციის სამოქმედო პრიორიტეტი. ჩვენი ფინანსური შეთავაზებების მომხმარებლები არიან საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ფინანსური პროდუქტების შეთავაზება ხდება გამჭვირვალე, ღირსეული და გონივრული საშუალებებით და რესურსებით.

შეთავაზებული ფინანსური პროდუქტებიდან დავასახელებთ ფულად გზავნილებს, ვალუტის გაცვლას, მიკრო სესხების გაცემას, კომუნალური გადასახადების სწრაფ და შეუზღუდავ მომსახურებას.

საანგარიშო წელს მიუხედავად მწვავე კოვიდ სიტუაციისა ფულადი გზავნილების ცვლილების დინამიკა შემცირებადი არ ყოფილა. წლის ბოლოს მომხმარებლებს შევთავაზეთ ვესტერნ იუნიონის სისტემის გზავნილებით მომსახურება, რამაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ფულადი გზავნილების ინტელექსპრესის სისტემა, კვლავ ლიდერის პოზიციაშია, თუმცა სხვა სისტემებიც პოპულარულობაც თვალსაჩინოდ იზრდება. გზავნილების ყოველთვიური ბრუნვა 10-12 მილიონი ლარის ექვივალენტის ფარგლებშია, რაც ჩვენისთანა პატარა ორგანიზაციისათვის დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია.

ფულადი გზავნილების სისტემების დანერგვის პარალელურად კლიენტებს ვთავაზობთ ვალუტის გაცვლის ოპერაციას. კლიენტები ენდობიან ჩვენს ორგანიზაციას, რამდენადაც ჩვენთან ყიდვისა და გაყიდვის სავალუტო კურსები სავალუტო რყევების პერიოდშიც კი ინარჩუნებს გადახრის მინიმალურ დონეს. მომსახურების სისწრაფე და თანხების გაცემა სასურველ ვალუტაში სასურველი ნომინალის კუპიურებით განაპირობებს საკონვერტაციო ბრუნვების სტაბილურად მაღალ მაჩვენებელს.

2009 წლიდან მოყოლებული კლიენტებს ვთავაზობთ სალომბარდო სესხებს ოქროს და ძვირფასი ლითონების უზრუნველყოფით. ამ ტიპის ფინანსური პროდუქტი ხასიათდება მოკლე ვადიანობით. და ახალი კლიენტები მალე ენაცვლება ძველს, რაც ჩვენი მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელია. პასუხიმგებლიანი დაკრედიტების სტრატეგია ამ შემთხვევაში გულისხმობს კლიენტის დროულ ინფორმირებას წინაწარ შეთანხმებული კავშირის არხით სავადო თარიღებზე. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სესხის რესტრუქტურირაცია, ერთთვიანი სესხის გრაფიკულზე გადაყვანა, საჯარიმო სანქციების გაუქმება. ჯარიმები გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ფართოდ არის აპრობირებული

საურავების პატიების პრაქტიკა პირველი ან დაუძლეველი მიზეზით ვადის გადაცილების შემთხვევებში. მიმდინარე წლის განმავლობაში მომსახურეობა გაუწიეთ 20 ათასზე მეტ ახალ კლიენტს. გაცემული სესხების მხოლოდ 3 % პროცენტამდე შემთხვევაში გავხდით იძულებული გაგვხორციელებინა გირავნობის საგნების რეალიზაცია და ამათგან უმეტესი წილი იყო ისეთი კლიენტებისა, რომლებთან კომუნიკაცია ვერ მოხერხდა ვერც-ერთი წინასწარ შეთანხმებული კავშირის არხით.

რიგ სესხებზე, რომელთა ჯეროვანი მომსახურება ვერ ხდებოდა, შევაჩერეთ პროცენტის და საურავის დარიცხვა. მათგან 10 %-ზე მეტზე განხორციელდა სესხის რესტრუქტურისა და ჯარიმის პატიებით. შესაბამისად, ეს კრედიტები უკვე აქტიური გახდა და მომხმარებლებს შეუწარმუნდათ თავიანთი ძვირფასეულობა.

ეროვნული ბანკის მიერ დაკრედიტების სფეროში შემოტანილი ახალი რეგულაციების შესაბამისად დაგეგმილი გვაქვს დავიწყოთ ახალი საკრედიტო პროდუქტების ათვისება და დანერგვა. არსებულისაგან განსხვავებით ყველა ახალმა პროდუქტმა უნდა მოიცვას კლიენტის გადახდის უნარიანობის ანალიზი, აგრეთვე სესხის მიზნობრივობის შეფასების და კონტროლის მექანიზმები. ყოველივე ეს გულისხმობს თანამშრომელთა გადამზადების მწყობრი სისტემის შექმნას. ასათვისებელი პროდუქტებიდან გამოვყოფთ: მოკლევადიან აგრო და ბიზნეს სესხებს, განვადებებს კონკრეტული ნივთის ან მომსახურების შესაძენად, სესხს საცხოვრებელი ფართის რემონტისა ან/და საკარმიდამო მეურნეობის განვითარებისათვის. აქვე მოიაზრება სამომხმარებლო სესხები ფულადი გზავნილების უზრუნველყოფით.

ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილია მართვის შინაგანი სტრუქტურით და პოლიტიკა-პროცედურებით, რომლებიც შექმნილია მენეჯმენტის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის უახლესი რეგულაციების შესაბამისად.

ორგანიზაციის განვითარების სტაბილურობა განპირობებულია იმით, რომ მენეჯმენტი თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად ეროვნული ბანკის რეგულაციების უცილობელ დაკმაყოფილებას მიიჩნევს. წმინდა მოგება და საკუთარი კაპიტალი ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას, რაც ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის გარანტიაა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ორგანიზაციაში აღიარებულია უმთავრეს პრიორიტეტად. ინფორმაცია მომსახურეობების ნებისმიერი პროდუქტის თაობაზე მომხმარებელს მიეწოდება ნათელი და გასაგები ფორმით, სადაც გათვალისწინებულია კლიენტის მოთხოვნები და საჭიროებები.

2020 წელი ახალი რეგულაციებით აღინიშნა საქართველოს შრომით კანონმდებლობაში. ამ ახალ გამოწვევებს მომზადებული შევხვდით. უმოკლეს ვადაში საქმიანობა იმგვარად გადაეწყო, რომ თითოეული სამუშაო ადგილი აბსოლუტურად უსაფრთხო გარემო გახდა თანამშრომლისა და მომხმარებლისათვის. შრომის უსაფრთხოების სამსახურმა უზრუნველყო წინა ხაზის თანამშრომელთა სწავლება, ოპერატორებისათვის ინდივიდუალური სამედიცინო უსაფრთხოების საშუალებების შეძენა. საფინანსო სამსახურმა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურთან ერთად სესხების მომსახურეობა ნაღდი ანგარიშსწორების პარალელურად ონლაინ პლატფორმაზე გადაიყვანა.

მენეჯმენტი დღენიადაგ ზრუნავს დანერგოს მოწინავე ტექნოლოგიები მართვის სფეროში. ახალი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც 2018 წლის დასაწყისიდან დავენერგეთ, ფუნქციონირებს კლიენტ-სერვერის არქიტექტურაზე დაყრდნობით და იძლევა ფინანსური გაანგარიშებების რეალურ დროში წარმოების საშუალებას. ვირტუალური კერძო ქსელის ორგანიზაციამ გააუმჯობესა ქსელურ გარემოში ინფორმაციის გადაცემის დაცულობა. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლა ახლა მთლიანად ავტომატიზებულია და მაღალ სიჩქარიანი კომპიუტერული არხებით ხორციელდება.

ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების მძლავრი ბერკეტია სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, მოზიდული სახსრებისა და მიღებული სესხების ადეკვატური მართვა, ყოველდღიური ზრუნვა საკრედიტო პორტფელის სიჯანსაღის შენარჩუნებისათვის. 2018 წლის განმავლობაში განაღდებული საწესდებო კაპიტალი შეივსო 590 ათას ლარამდე, ხოლო 2019 წლის მაისის ბოლოს საწესდებო კაპიტალი 500 ათასი ლარით შევავსეთ და მან ერთ მილიონ ლარს გადააჭარბა. დღეისათვის საზედამხედველო კაპიტალი 4 მილიონ ლარამდეა, რაც მიკრო ბანკად გარდაქმნის პერსპექტივას გვაახლოებს.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ



შპს მისო მონეტა ექსპრეს ჯორჯია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს 9 ფილიალის საშუალებით, რომელთაგან ერთი განლაგებულია ქ. წყალტუბოში, დანარჩენი 8 – ქუთაისში. ფილიალების როლი ბიზნეს პროცესში დაახლოებით ერთნაირია. თუმცა ჭავჭავაძის 54-ის და ჭავჭავაძის 28-ში იგეგმება საკრედიტო განყოფილების ამოქმედება, რომ მომხმარებელს

სალომბარდოსაგან განსხვავებული სხვა სასესხო პროდუქტები შევთავაზოთ. ამას გარდა იგეგმება სადღეღამისო მომსახურების აღდგენა რამდენიმე ფილიალში.

ფილიალების გარეგნული სახე, კომპიუტერული, სარეკლამო და სხვა სპეციალური ტექნიკით აღჭურვის მდგომარეობა მენეჯმენტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ეს ზრდის ორგანიზაციის ცნობადობას. იგეგმება ახალი ფილიალების გახსნა ქუთაისში, თბილისში, აგრეთვე ბათუმში.

ორგანიზაციის პერსონალი იზრდება არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ თვალში საცემია თვისობრივი ზრდაც. ბოლო 2 წლის განმავლობაში 2 ახალი ფილიალის გახსნის კვალობაზე თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა 10 სპეციალისტით. წარმოქმნილ საპასუხისმგებლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურების წესით ინიშნებიან რიგითი თანამშრომლები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებით ფინანსდება თანამშრომელთა სწავლება სხვადასხვა კურსებზე ფინანსური მენეჯმენტის და საგადასახადო კანონმდებლობის კუთხით.

მიკროსაფინანსო სფეროში სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა ითვლება პრიორიტეტად.

სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებას წარმოადგენს დეკრეტულ შვებულებაში გასულ თანამშრომლებზე ბავშვის მოვლაზე დამატებითი 1000-ლარიანი დახმარების გაცემა და შრომის კანონმდებლობის სრული დაცვით მათი უფასო შვებულებით უზრუნველყოფა.

2019-2020 წლის განმავლობაში ხელშეკრულება გაფორმდა და მნიშვნელოვანი საკონსულტაციო მომსახურება მივიღეთ კომპანია „ჯი-პი-ენ-ისაგან“, რომლის დახმარებითაც შევქმენით AML/CFT – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო სისტემა და შემუშავდა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა. ამჟამად ეს სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა

კომპანიას არ განუხორციელებინა კვლევები.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია

კომპანია მიმდინარე ეტაპზე არ ფლობს საკუთარ აქციებს

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

გარემო ეკონომიკური პირობების, სოციალური ფონის, კომერციულ ბაზარზე სავალუტო რყევების რისკების მონიტორინგს მისოს მენეჯმენტი ახორციელებს ყოველდღიურად. გულდასმით ანალიზი უტარდება ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო დოკუმენტების ანალიზი, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიების გაანალიზება, რომ შევძლოთ მისოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა რისკების შეფასების კრიტერიუმების შერჩევით, შეფასების და მონიტორინგის საშუალებით.

ფულადი ნაკადების მიმოქცევის მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ორგანიზაციისათვის მომსახურების კულტურის ამაღლების, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრით. ლიკვიდობის პრობლემა მიმდინარე ეტაპზე არ დგას, რამდენადაც ფიზიკური პირებიდან მოხიდული სახსრები გრძელვადიანია, აგრეთვე ფინანსური გირაოს გამოყენებით ბანკებში გვაქვს გახსნილი საკრედიტო ხაზები და მათი უმეტესობა 6 თვეზე მეტი ვადიანობისაა და განუხრელად იზრდება საკუთარი კაპიტალი. ჯეროვანი ყურადღება ექცევა საკრედიტო ხაზებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის რისკს, რაზედაც სავალუტო ბაზრის რყევები ძალიან მნიშვნელოვნად აისახება.

მენეჯმენტის შეფასებით ორგანიზაციისათვის ძირითად რისკებს წარმოადგენს საბაზრო და საკრედიტო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიშვება სამომავლო ფულადი ნაკადების ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების მერყეობით საბაზრო ფასების ცვლილების გამო. ეს უკანასკნელი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და სხვა საფასო რისკებს, როგორცაა მაგალითად, გირაოში ჩადებული სარეალიზაციოდ გასატანი ძვირფასეულობის საბაზრო ფასები. აღნიშნული საბაზრო ფასების მონიტორინგი ხორციელდება პერმანენტულად და შედეგები წარედგინება დირექტორატს. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით საპროცენტო განაკვეთები შესაძლოა გაიზარდოს კიდევ.

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიზნები და პოლიტიკა

ფინანსური რისკებიდან შეფასებისა და მართვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკები გაცემული სესხების მიხედვით. საკრედიტო რისკი ნიშნავს მისოს ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დროულად ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკის მიმართ მისოს მაქსიმალური მგრძობიარობა აისახება შესაბამისი სასესხო ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. მართალია, მისო არ იყენებს ოფიციალურ შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემას საკრედიტო რისკის მიმართ, მაგრამ მენეჯმენტი ახორციელებს ვადაგადაცილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს. მენეჯმენტის აზრით დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ საკრედიტო რისკი სწორედ ვადიანობაზე და წინა ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასდეს.

კომპანიის რისკის მართვა დეტალურად არის განხილული აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გთხოვთ იხილოთ შენიშვნა N 22.

მენეჯმენტის სახელით:

ალეკო ბაღდავაძე

შპს მისო მონეტა ექსპრეს ჯორჯიას

დირექტორი

24 ივნისი, 2022 წ.


მენეჯმენტის შეფასებით ორგანიზაციისათვის ძირითად რისკებს წარმოადგენს საბაზრო და საკრედიტო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიშვება სამომავლო ფულადი ნაკადების ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების მერყეობით საბაზრო ფასების ცვლილების გამო. ეს უკანასკნელი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და სხვა საფასო რისკებს, როგორცაა მაგალითად, გიროში ჩადებული სარეალიზაციოდ გასატანი ძვირფასეულობის საბაზრო ფასები. აღნიშნული საბაზრო ფასების მონიტორინგი ხორციელდება პერმანენტულად და შედეგები წარედგინება დირექტორატს. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით საპროცენტო განაკვეთები შესაძლოა გაიზარდოს კიდევ.

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიზნები და პოლიტიკა

ფინანსური რისკებიდან შეფასებისა და მართვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკები გაცემული სესხების მიხედვით. საკრედიტო რისკი ნიშნავს მისოს ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დროულად ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკის მიმართ მისოს მაქსიმალური მგრძობიარობა აისახება შესაბამისი სასესხო ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. მართალია, მისო არ იყენებს ოფიციალურ შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემას საკრედიტო რისკის მიმართ, მაგრამ მენეჯმენტი ახორციელებს ვადაგადაცილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს. მენეჯმენტის აზრით დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ საკრედიტო რისკი სწორედ ვადიანობაზე და წინა ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასდეს.

კომპანიის რისკის მართვა დეტალურად არის განხილული აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გთხოვთ იხილოთ შენიშვნა N 22.

მენეჯმენტის სახელით:



ალეკო ბალდავაძე



შპს მისო მონეტა ექსპრეს ჯორჯიას

დირექტორი

24 ივნისი, 2022 წ.